



საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ბრძანება N 485

29/12/2017

„საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 3 ნოემბრის N701 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1. „საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 3 ნოემბრის N701 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის სამოქმედო გეგმაში“ შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. თავი II. „ძირითადი ამოცანები“-ს:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმა ითვალისწინებს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) ეტაპობრივ დანერგვას ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ორგანოებში, აგრეთვე მათ მიერ შექმნილ/დაფუძნებულ იურიდიულ პირებსა და ორგანიზაციებში.“

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვა ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებში, აგრეთვე მათ მიერ შექმნილ/დაფუძნებულ იურიდიულ პირებსა და ორგანიზაციებში, მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) ფაზა I ინიცირება (2010 წ.) - სამართლებრივი ჩარჩოს განსაზღვრა, სტანდარტების შემმუშავებელი ორგანოსა და სათანადო რესურსების შექმნა, რომელიც საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვის პროცესებს წარმართავს; (IPSAS)-ის მოდიფიცირებული საკასო მეთოდის დანერგვისათვის საცდელი ორგანიზაციების შერჩევა; საცდელი ორგანიზაციებისათვის ფორმებისა და მეთოდური მითითებების მომზადება;

ბ) ფაზა II საცდელი (2011 წ.) - სხვადასხვა საკითხების და საჭირო მოქმედებების იდენტიფიცირების მიზნით, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის საცდელი ფინანსური ანგარიშგებების მომზადება; მთლიან სახელმწიფო სექტორში (IPSAS)-ის მოდიფიცირებული საკასო მეთოდის დანერგვისათვის ინსტრუქციების მომზადება;

გ) ფაზა III მოდიფიცირებული საკასო მეთოდი (2012-2014 წწ.) – სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის (გარდა სახელმწიფოს წილობრივი

მონაწილეობით შექმნილი საწარმოებისა) მოდიფიცირებული საკასო მეთოდის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადება, მათ შორის, ინფორმაცია მოდიფიცირებულ საკასო მეთოდზე, როგორც არასავალდებულო დამატებითი ახსნა-განმარტება;

დ) ფაზა IV შეზღუდული დარიცხვის მეთოდი (2015-2018 წწ.) - ფაზა III-ის გავრცობა, ისე რომ მოიცვას ძირითადი აქტივები, მაგრამ არ მოიცვას სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები და სხვა სპეციფიკური საკითხები;

ე) ფაზა V საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) სრული დარიცხვის მეთოდი (2019 წ.) - საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების მომზადება, მათ შორის სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების კონსოლიდაცია და საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო 22-ე სტანდარტის შესაბამისი ინფორმაცია სახელმწიფო მმართველობის სექტორზე;

ვ) ფაზა VI უწყვეტობა (2020 და შემდგომი წლები) - პროგრამის შემუშავება, როგორც გარანტიისა, რომ საქართველო განაგრძობს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) შესაბამისად ფინანსური ანგარიშგებების მომზადებას და დამატებით უზრუნველყოფს ახალი და შესწორებული საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) განხორციელებას.“

გ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს 2¹ პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„2¹. საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) დანერგვა ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ადგილობრივი ხელისუფლებების ორგანოებში, აგრეთვე მათ მიერ შექმნილ/დაფუძნებულ იურიდიულ პირებსა და ორგანიზაციებში, მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) ფაზა I ინიცირება (2017 წ.) - ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისთვის აღრიცხვის და ანგარიშგების რეფორმის სტრატეგიის განსაზღვრა;

ბ) ფაზა II საპილოტე (2018-2020 წწ.) - საპილოტე მუნიციპალიტეტების შერჩევა და დატრენინგება; საპილოტე მუნიციპალიტეტების მიერ 2017, 2018 და 2019 წლების ფინანსური ანგარიშგებების მომზადება დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული IPSAS სტანდარტების გათვალისწინებით შემუშავებული აღრიცხვის და ანგარიშგების მეთოლოგიის შესაბამისად;

გ) ფაზა III - სრული დარიცხვა (2021 და შემდგომი წლები) - ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ წლიური ფინანსური ანგარიშგებების მომზადება დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული IPSAS სტანდარტების გათვალისწინებით შემუშავებული აღრიცხვის და ანგარიშგების მეთოლოგიის შესაბამისად.“

3. თავი III „საქართველოს საჯარო ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საბჭო“-ს პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) წარმომადგენელი პროფესიული ბუღალტრული ორგანიზაციიდან.“.

მუხლი 2. ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

მამუკა ბახტაძე

მინისტრი

